პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1973 წ.
№ 49
(4819)
11 მარტი,
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საფარიკაო ბილიკზე ცხელა...

გუშინწინ თბილისში დაიწყო საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ფარიკაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, ზესტაფონის, რუსთავის წარმომადგენლები.

• • •

სურათზე: ასპარეზზე ხმლით მოფარიკავეები.

მ. ზარგარიანის ფოტო.



სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

ორი თამაში

7 მარტი. ასკ (კიევი) — „კალევი" (ტარტუ) 73:62 (47:34).

9 მარტი. „სტროიტელი" (კიევი) — „კალევი" (ტარტუ) 73:92 (28:50).

• •

„ა" კლ. I ჯგუფი

...და კიდევ ქულა

გაცილებით მძაფრი და საინტერესო გამოდგა თბილისის „ბურევესტნიკისა" და ვილნიუსის „სტატიბას" გუშინწინდელი განმეორებითი მატჩი. თავდაპირველად უპირატესობა ცვალებადი იყო, მაგრამ მე-10 წუთიდან მასპინძლები დაწინაურდნენ: ჯერ მაღალთაძემ, მერე ჯგერენაიამ და ქარაზაკმა ზუსტად დაასრულეს პარტნიორთა შეტევები. 7-ქულიანი სხვაობა „სტატიბამ" ნელ-ნელა მინიმუმამდე დაიყვანა, ბოლოს კი წონასწორობა აღდგა — 36:36.

ამ მომენტში თავი გამოიჩინა მაღალაშვილმა. სწორედ მისი ოსტატური ტყორცნის შედეგად „ბურევესტნიკის" ქულათა მარაგმა შესვენებისთვის რვას მიაღწია — 53:45.

მეორე ტაიმში სტუმრები შესამჩნევად გააქტიურდნენ და ანგარიშიც გათანაბრდა. მერე კი დაიწყო ძნელი და მომქანცველი ენდშპილი — წინ მორიგეობით ხან თბილისელი კალათბურთელები გადიან, ხან — ვილნიუსელები. შეხვედრის ბედი, ფაქტიურად, ბოლო წამებში გადაწყდა. „ბურევესტნიკმა" შეინარჩუნა ერთქულიანი უპირატესობა და გაიმარჯვა — 91:90.

თბილისელთაგან ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი ისევ მაღალაშვილი იყო. ამჯერად მან გუნდს 27 ქულა შესძინა. ლიტველთა შორის სნაიპერული ტყორცნით თავი გამოიჩინეს გირსკისმა (18), რიპკუსმა (15) და კატრისმა (14).

„სტატიბასთან" ორი გამარჯვების შემდეგ „ბურევესტნიკს" 10 ქულა დაუგროვდა. მან ერთგვარად გამოისწორა სატურნირო მდგომარეობა.

ც. ფცქიალაძე.

• • •

სურათზე: დ. მაღალთაძე მეტოქის კალათს უტევს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ბრძოლა მძაფრდება

ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობს თბილისის მოჭადრაკე ქალთა და ვაჟთა ჩემპიონატები. ორივე ტურნირში ბრძოლა სულ უფრო მძაფრდება.

ქალთა შეჯიბრებაში III ტური შედგა. ლიდერთაგან მხოლოდ თ. კაჭარავამ დაამთავრა შეხვედრა: ლ. ბელოზიოროვას სძლია და 3 ქულით ჩემპიონატს სათავეში ჩაუდგა. სხვა ლიდერები — საქართველოს ჩემპიონი, ოსტატი თ. ხუგაშვილი და ქ. გაჩეჩილაძე ერთმანეთთან თამაშობდნენ და პარტია ვერ დაამთავრეს.

პირველი გამარჯვება იზეიმა საერთაშორისო ოსტატმა ა. ჩაიკოვსკაიამ. ნორჩმა მოჭადრაკემ ნ. იოსელიანმა მას მწვავე და რთული ძველინდური დაცვა შესთავაზა. ბრძოლა ორივე ფრთაზე გაჩაღდა. ოსტატმა ცენტრი ჩაკეტა და მეტოქეს იერიში დაასწრო. 34-ე სვლაზე იოსელიანი დანებდა.

მ. ჩიბურდანიძემ ლ. გელიაშვილთან შავებით უფიმცევის დაცვა გამოიყენა. ჯერჯერობით ამ დაცვის თეორია ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული, რაც მოჭადრაკეებს ფანტაზიის გამოვლენის მდიდარ შესაძლებლობას აძლევს. ჩიბურდანიძეც ამ დაცვას თავისებურად თამაშობს. მან მალე გაათანაბრა პოზიცია, მერე ცენტრში ფიგურების გაცვლისას კომბინაცია განახორციელა და ორი პაიკი მოიგო. 36-ე სვლაზე გელიაშვილი დანებდა.

მ. კალანდაძემ მოუგო ნ. მელაშვილს, დ. ქობალიამ — ქ. მელაშვილს, მ. ლოლიშვილმა — ნ. კარტაშიანს, მ. მამისთვალოვამ — მ. წერეთელს.

38-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა მ. ვაჩეიშვილ — ლ. თანდაშვილის შეხვედრა. სხვა პარტიები გადაიდო.

ვაჟთა პირველობაში გადადებული და გამოტოვებული პარტიები გათამაშდა.

მსაჯთა კოლეგიამ პ. შაქარიანს საპატიოდ ჩაუთვალა I ტურზე გამოუცხადებლობა და ი. ეფიმოვთან მისი წაგება გააუქმა. მეტოქენი შეხვდნენ ერთმანეთს. შაქარიანმა წარმატებით ითამაშა და გაიმარჯვა. მანამდე ეფიმოვმა ს. კიკილაშვილს ფარ-ხმალი დააყრევინა III ტურის პარტიაში.

ნ. ალექსანდრიამ და ე. მიქაელიანმა III ტურის გამოტოვებული პარტია ითამაშეს, ოსტატი ქალი აქტიურად იბრძოდა შავებით. მან მეტოქის მეფეს ბევრი მუქარაც შეუქმნა, მაგრამ ცაიტნოტმა თავისი ქნა: 35-ე სვლის დროს ნანას საათზე ალამი ჩამოვარდა: წაგება.

ნ. ჩახოიანმა მოუგო თ. ხანთაძეს. ყაიმზე შეთანხმდნენ დ. გურგენიძე — გ. ზაიჩიკი, გ. ხაილენკო — ზ. სტურუა და კ. ჩიგოგიძე — ზაიჩიკი.

სამი პარტია გაუთამაშებელი დარჩა.

3 ტურის შემდეგ გ. მაჭარაშვილს 3 ქულა აქვს, მიქაელიანს — 2,5, შაქარიანს — 2 ქულა და 1 გადადებული პარტია, ხაილენკოს, ზაიჩიკს — 2-2.

თ. ნინოშვილი.

დარჩა ფინიში

ტალინი, 9 მარტი. აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში გადადებული პარტიების დამთავრებისას ყაიმით მხოლოდ ჰ. ვესტერინენ (ფინეთი) — დ. ბრონშტეინის (სსრ კავშირი) შეხვედრა დამთავრდა.

ორი ქულა მოაგროვა ბულგარელმა ოსტატმა ლ. პოპოვმა: მოუგო ხ. კიარნერს (სსრ კავშირი) და ა. სეიდის (აშშ). თამაშის განუახლებლად ი. ნეი (სსრ კავშირი) დანებდა კიარნერს, ჰ. პფლეგერი (გფრ) — ლ. პოლუგაევსკის (სსრ კავშირი). პფლეგერმა კიდევ ერთი პარტია წააგო — კიარნერთან.

პ. კერესთან მოსაგებად მ. ტალს (ორივე — სსრ კავშირი) მხოლოდ ოთხი სვლა დასჭირდა.

ნეიმ სძლია სეიდის, ი. ჰმიბლმა (ჩეხოსლოვაკია) — ბ. რატოვს (სსრ კავშირი).

12 ტურის შემდეგ კვლავ ლიდერობს სსრ კავშირის ჩემპიონი ტალი — 10 ქულა. პოლუგაევსკის 8,5 ქულა აქვს, ბ. სპასკის (სსრ კავშირი) — 8.

სათამაშო 3 ტურიღა დარჩა.

სტუმრების მონაწილეობით

ბუქარესტი, 9 მარტი. რუმინეთის ვაჟთა ღია ჩემპიონატში ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, იუგოსლავიის, კუბის, პოლონეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მოჭადრაკეებიც მონაწილეობენ.

საბჭოთა დიდოსტატმა მ. ტაიმანოვმა ტურნირი მოგებით (რუმინელ გიცესკუსთან) დაიწყო, მაგრამ მეორე დღეს დამარცხდა რუმინელ უნგურიანუსთან.

დაწინაურდა ნიკოლაუ

ბელგრადი, 9 მარტი. ქალთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში 4 ტურის შემდეგ დაწინაურდა რუმინელი ა. ნიკოლაუ — 2,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

საბჭოთა ოსტატ ვ. კოზლოვსკაიას 1,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს. II ტურში მან მოუგო პიხაილიჩს (იუგოსლავია), III ტურში პარტია გადადო ვასნეცკისთან (გფრ), IV — ქ. იოვანოვიჩთან.

სსრ კავშირის ჩემპიონმა მ. შულმა განვლილ სამ ტურში სძლია ერენსკას (პოლონეთი), ხოლო პარტიები ნიკოლაუსთან და გეორგიევასთან (ბულგარეთი) გადადო.

როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო... 19^{45}

◆ **ნოიბრანდენბურგი** (გდრ), 10 მარტი. ხელბურთელ ქალთა გუნდების აქ მიმდინარე ტურნირი ქალების საერთაშორისო დღეს — 8 მარტს ეძღვნება. გამოვლინდნენ შეჯიბრების ნახევარფინალისტები. „ა" ქვეჯგუფში ყველაზე კარგად იასპარეზეს იუგოსლავიისა და უნგრეთის კოლექტივებმა: იუგოსლაველებმა მძაფრი ბრძოლის შემდეგ სძლიეს ბულგარელებს — 13:9 (7:6), უნგრელებმა კი შავი დღე აყარეს ჰოლანდიის გუნდს — 22:5 (8:2). „ბ" ქვეჯგუფში სსრ კავშირის გუნდმა ანგარიშით 19:12 (12:5) დაამარცხა გდრ-ის მეორე ნაკრები და ასევე ნახევარფინალში გავიდა. აქ მისი მეტოქე იქნება გდრ-ის პირველი ნაკრები. ნახევარფინალური მატჩები დღეს გაიმართება.

◆ **სიენფუეგოსი** (კუბა), 10 მარტი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში — კაპაბლანკის მემორიალში უკან დარჩა 14 ტური. შეჯიბრებას კვლავინდებურად ლიდერობს დიდოსტატი ულმანი (გდრ) — 11,5 ქულა. II ადგილზეა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, მოსკოველი დიდოსტატი სმისლოვი — 11. მოწინავე ჯგუფში არიან, აგრეთვე: დონერი (ჰოლანდია) — 10 ქულა, კუზმინი (სსრ კავშირი), სპასოვი (ბულგარეთი) — 9,5-9,5, საგონი (სსრ კავშირი) და გარსია (კუბა). — 9-9.

მხოლოდ ტექნიკური შედეგები...

სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ჩემპიონატი.

9 მარტი.

ჩელიაბინსკი. ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი (მოსკოვი) — ასკ (დონის როსტოვი) 3:0, „ავტომობილისტი" (დნეპროპეტროვსკი) — „ზვეზდა" (ვოროშილოვგრადი) 3:2, ცსკა — „დოროჟნიკი" (ალმა-ათა) 3:2.

გლაზოვი. ტექნოლოგიური ინსტიტუტი (ოდესა) — „ბურევესტნიკი" (ხარკოვი) 3:2, „რადიოტექნიკი" (რიგა) — „ლოკომოტივი" (კიევი) 3:1, „ავტომობილისტი" (ლენინგრადი) — „კალევი" (მაარდუ) 3:0.

მესტენდურეებმა სეზონი გახსნეს

ამას წინათ თბილისელმა მესტენდურეებმა სამხედრო მონადირეთა საზოგადოების სასროლეთზე სეზონი გახსნეს. ადგილიდან სროლაში გაიმარჯვა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ზ. მაჩხანელმა („ლოკომოტივი"), რომელმაც 100-დან 83 სამიზნე დააზიანა. მას 2 ქულით ჩამორჩა არმიელი სპორტის ოსტატი ა. ზუკია.

მრგვალ სტენდზე სროლაში დაწინაურდნენ ლოკომოტიველი სპორტის ოსტატი თ. იმნაიშვილი და განთიადელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი თ. მატოიანი. მათი ორთაბრძოლის ბედი გადაწყდა მესამე სერიაში, როცა იმნაიშვილმა 25 სამიზნე გატეხა, მისმა მეტოქემ კი ოთხ სამიზნეს ააცდინა. გაიმარჯვა იმნაიშვილმა — 92. მატოიანის შედეგია 86 ქულა.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „ლოკომოტივისა" და არმიელ მონადირეთა საზოგადოების გუნდები, ორი „განთიადისა" და ერთიც „კოლმეურნის" წარმომადგენელი.

მონკავშირმა, რომელმაც ამ სახეობის განვითარებისთვის შარშანწინ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, სეზონის გახსნის პრიზის გათამაშებაში სარბიელზე ვერც ერთი სპორტსმენი ვერ გამოიყვანა.

ჯ. მოწონელიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

წელი პირველი...

ГОТОВ К ТРУДУ И ОБОРОНЕ СССР

დრო შეუმჩნევლად გარბის. თითქოს გუშინ იყო: მაუდკამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" მუშა-მოსამსახურეები თავიანთ სტადიონზე გამოვიდნენ, რათა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის პირველი ნორმატივები ჩაებარებინათ. მას შემდეგ მთელი წელია. ეს საკმარისი დროა გავლილი გზის შესაფასებლად. ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას: ხუთსაფეხურიანი კომპლექსი იქცა გიგანტურ პირამიდად, რომლის საძირკველიც მასობრიობაა, მწვერვალი კი ოსტატობა.

მშდ კომპლექსის ყველა საფეხურის ავტორიტეტი უდავოა. მისაწვდომი ვარჯიშები, ჩათვლის სიმარტივე, ასაკობრივი დაყოფა — ყველაფერი ხელს უწყობს კომპლექსის პოპულარობას.

გვახსენდება პირველი შთაბეჭდილებები. რბენა, ხტომა, ტყორცნა, კროსები, ტურისტული ლაშქრობები. ეს ყველაფერი თავიდან თითქმის ძალიან იოლად გვეჩვენება. მის დაძლევას თითქოს დიდი დრო და მომზადება არ უნდოდა, სინამდვილეში კი ასე არ ყოფილა.

ახალი კომპლექსის ნორმატივები იმდენად ზუსტად არის დაგეგმილი, რომ, მიუხედავად გარეგნული სიმარტივისა, კარგ, გულმოდგინე მომზადებას, რეგულარულ წვრთნას, სპეციალურ სასწავლო ჯგუფებში მეცადინეობას მოითხოვს.

კიდევ უფრო რთული გადასაწყვეტი აღმოჩნდა ცურვის საკითხი. აქ მარტო წყალსაცავების ნაკლებობა როდი იყო მთავარი. თავად მაღალი ნორმატივები თითქოს უფრო ძნელი დასაძლევი აღმოჩნდა.

1972 წლის ივლისის შუა რიცხვებში უკვე გაჩნდნენ მშდ კომპლექსის პირველი ნიშნოსნები: ქარხანა „მაგნიტოფონის" თანამშრომლები რ. რუხაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ბროვკინი, სპორტის ოსტატი ვ. პოდოლსკაია, სპორტკლუბ „სინათლის" წარმომადგენლები მ. ლორია, ი. პაპიაშვილი, თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენი ქარხნის პარტბიუროს მდივანი რ. მეცხვარიშვილი, სპარტაკელი დ. ნანობაშვილი, არმიელები მ. ხართიშვილი და ს. ჩიტაშვილი.

ახალმა კომპლექსმა სრულიად ახალი სიცოცხლე შთაბერა ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, კოლექტივებს, სპორტკლუბებს, კომიტეტებს, სექციებსა და გუნდებს.

გახსოვთ, რამდენი პრობლემა დაისვა მთელი სიმწვავით, რომელთაც უწინ გულგრილად ვუვლიდით გვერდს? უცებ აღმოჩნდა, რომ არ გვქონდა ბირთვები და ხელყუმბარები. მაგრამ გამოსავალს მალე მიაგნეს: საჭირო ინვენტარს ქარხანაში ასხამდნენ, თვითონვე თხრიდნენ სახტომ ორმოებს, ხაზავდნენ სექტორებს, სარბენ ბილიკებს, კროსის დისტანციებს...

გამოირკვა, რომ ყველა სტადიონი და სპორტბაზა ვერ ამართლებდა თავის დანიშნულებას. მათგან ბევრს მხოლოდ საფეხბურთო მატჩების ჩასატარებლად იყენებდნენ, დანარჩენ დროს კი დაკეტილი ჰქონდათ. დაიწყო საქმიანი რეიდები, გაისმა საგანგაშო სიგნალები, მოეწყო „ფოტოფანჯრები", და საქმე დაიძრა.

... საცურაო აუზები არ იყო, ტირებში ადგილი არ გვყოფნიდა, მაგრამ კომპლექსის მოთხოვნები მაინც სრულდებოდა. ეს სხვადასხვა გზით კეთდებოდა.

გაიხსენეთ, რა ხალისით ესტუმრნენ თბილისის მუშა-მოსამსახურენი ბაზალეთის ტბას. იქ ჩააბარეს ნორმატივები არა მარტო ტურიზმში, კროსში, ხელყუმბარის ტყორცნაში, რბენაში, ბირთვის კვრაში, არამედ ცურვაშიც. ეწყობოდა „გინთიადის", „სპარტაკის", „ლოკომოტივის" წარმომადგენელთა მასობრივი შეკრებები. ბევრმა სროლისთვისაც იპოვა ასპარეზი — 25 მეტრი საკმარისი იყო.

ფეიქრებმა და ავიამშენებლებმა კოჯრისა და კიკეთის ტყეები და ველები აირჩიეს. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სპორტსმენებმა არმაზს, წიწამურს, ზედაზენს მიაშურეს, ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სტუდენტებმა და ფიზკულტურელებმა — ლისისა და კუს ტბებს, ბეთანიას, მთაწმინდის პლატოს.

ახალი შესაძლებლობები გაიშალა სპორტულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის წინაშეც. თურმე შეიძლებოდა ყველა აუზზე ხანდახან უფასოდ გამოეყოთ სარბიელი ნორმატივების ჩაბარების მსურველებისთვის, სტადიონებზე „ღია კარის დღეები" მოეწყოთ ისე, რომ დიდი სპორტისთვის ზიანი არ მიეყენებინათ.

ერთი სიტყვით, გადაიშალა ახალი ჰორიზონტი, მოიძებნა რეზერვი. ეს წარმატება მშდ კომპლექსის აშკარა გამარჯვება იყო.

სამწუხაროდ, განვლილი წელი უნაკლო არ ყოფილა. კოლექტივებსა და სპორტკლუბებს ჯერ კიდევ აკლიათ ჩასათვლელი წიგნაკები, ოქმები, უწყებები. ეს იწვევს არევ-დარევას, პრიმიტიულობას. არ არის ან თითქმის არ არის ლამაზი პლაკატები, მოწოდებები, ნორმატივების ცხრილები, ლოზუნგები. პრესაში და ტელევიზიით ცალმხრივად შუქდება მშდ კომპლექსის ფრონტზე გაწეული მუშაობა (ნაკლები ყურადღება ექცევა მოსამზადებელი ჯგუფების სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ჩვენებას), არ ტარდება სემინარები მშდ კომპლექსის საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისთვის. თუმცა ასეთ საზოგადოებრივ მუშაობას დიდი ცოდნა სჭირდება სპორტის ყველა სახეობაში.

აუცილებელია არა მარტო დამუშავდეს მშდ საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა მოსამზადებელი ახალი პროგრამები, არამედ სემინარები „ყველაზე მაღალ დონეზე" ჩატარდეს, მუშაობაში ჩაებან საქმის მცოდნე და ავტორიტეტული სპეციალისტები. თუ გავითვალისწინებთ, რომ 10-15 ჩამბარებელზე ერთი საზოგადოებრივი ინსტრუქტორი უნდა მოდიოდეს, ხოლო მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად ათასობით ადამიანი ემზადება, მაშინ მუშაობის მასშტაბიც ნათელი გახდება.

დასასრულ, რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, მშდ კომპლექსის დანერგვისთვის გაშლილმა მუშაობამ შარშან კალენდარული შეჯიბრებები შეავიწროვა. თბილისში არ ჩატარებულა ქალაქის სპორტკლუბების სპარტაკიადა, „გინთიადის" ფიზკულტურელები 15 სახეობაში არ გამოვიდნენ სტარტზე, თავიანთი ჩვეულებრივი კალენდარი დაარღვიეს. ბევრი თავისი ღონისძიება შეცვალეს რაიონულმა კომიტეტებმა, კოლექტივებმა, სპორტკლუბებმა, საზოგადოებებმა.

თავის დანიშნულებას ვერ უპასუხა ზაფხულში სტადიონებზე აშკარად ძალისძალად ჩატარებულმა შეჯიბრებებმა რბენაში, ხტომაში, ტყორცნაში, კროსში და ა. შ.

ბევრი მონაწილისთვის ეს „საჩვენებელი" გამოსვლები ზედმეტი გამოდგა, ვინაიდან ეს სახეობები ფიზკულტურის კოლექტივებში გამართულ შეჯიბრებებში უკვე დიდი ხნის გადალახული ჰქონდათ. გავიხსენოთ თუნდაც ქალაქის ფიზკულტურელთა მასობრივი საშემოდგომო კროსი თბილისში, სანაპიროზე, რომლის შედეგებიც მონაწილეთა დიდი რაოდენობის გამო... თვენახევარს ჯამდებოდა.

მშდ კომპლექსის კომისიის წევრებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ ნიშნოსანთა მომზადების ბაზა ფიზკულტურის კოლექტივია. არ არის საჭირო მის გრაფიკებსა და გეგმებში შეჭრა, სპორტსმენთა უცხო ბაზებზე გამოყვანა, უკვე ჩაბარებული ნორმატივების „გადაბარება".

მაშ ასე, წელი პირველი გავიდა. შედეგები სასიხარულო და საიმედოა. კვლავაც წარმატება ვუსურვოთ ძალის, სიჯანსაღის, მხნეობისა და სპორტული მიღწევების კომპლექსს!

ბ. კოვალიოვი,
სპორტკლუბ „ივერიის" უფროსი ფიზკულტურის ინსტრუქტორი.

„ლოკომოტივის" აუზი გთავაზობთ ვისწავლოთ ცურვა!

თბილისის 26 კომისრის, კიროვისა და კალინინის სახელობის რაიონების, აგრეთვე, დედაქალაქთან ახლომდებარე რაიონებისა და რუსთავის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების წარმომადგენლებს — მშდ კომპლექსის ჩამბარებლებს „ლოკომოტივის" საცურაო ბაზის დირექცია ყოველდღიურად (გარდა კვირისა) 11-დან 14 საათამდე **უსასყიდლოდ** სთავაზობს აუზს ცურვის შესასწავლად.

კვირა დღეებში (9-დან 17 საათამდე) აუზის კარი ღიაა ცურვაში მშდ ნორმატივების ჩაბარების ყველა მსურველისთვის.

7-დან 9 საათამდე და 19-დან 21 საათამდე აუზზე მუშაობენ, აგრეთვე, ცურვის შემსწავლელი და გამაჯანსაღებელი სააბონემენტო ჯგუფები სტუდენტებისა და მუშა-მოსამსახურეებისთვის. ცურვის კოლექტიურად შემსწავლელთათვის ორგანიზაციებიდან მიიღება გადარიცხვაც.

მიმართვები და განაცხადები აუზის დირექციაში უნდა წარადგინოთ პირადად, მისამართი: თბილისი, 800 არაგველის ქ. № 1. ტელეფონები: 74-53-81, 74-53-82.

ასეთი თხილამურებით შორს ვერ წავალთ

სათხილამურო სეზონის დამთავრებამდე ჯერ დიდი დროა, საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე კიდევ უამრავი შეჯიბრება გაიმართება. ამიტომ საერთოდ სეზონის შედეგებზე ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ საქართველოსთვის სპორტული ზამთარი, ფაქტიურად, რესპუბლიკური ჩემპიონატის დასრულებისთანავე მთავრდება და ამიტომ, ვფიქრობთ, თამამად შეგვიძლია ვიმსჯელოთ წლეულს ჩვენში სათხილამურო სპორტის მასობრივად განვითარების თაობაზე.

მუდამ ასე იყო: პერიფერიებში რესპუბლიკის ტერიტორიული პირველობისთვის ინტენსიური მზადება სტარტებამდე ერთი თვით ადრე თუ იწყებოდა, ჩემპიონატის შემდეგ კი შედარებით დაბალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა შეჯიბრებებისთვის აღარავინ ზრუნავდა. წლეულსაც ასეა და ეს განსაკუთრებით გვაფიქრებს, ვინაიდან, როგორც ცნობილია, გაისად სვერდლოვსკისა და ბაკურიანის ბაზებზე სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადა უნდა ჩატარდეს.

ბაკურიანი „მფრინავ მოთხილამურეებს", ორჭიდელებს, სამთომოთხილამურეებსა და საციგაო სპორტის ოსტატებს უმასპინძლებს. უკვე ცნობილია სპარტაკიადის დებულება, შეჯიბრების კალენდარიც შედგენილია.

შესაძლოა ამ კალენდარში რაიმე ცვლილება მოხდეს, მაგრამ ფაქტი ერთია: დიდ სტარტამდე წელიწადი და უამრავი საქმე რჩება. საკავშირო სპორტკომიტეტში სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის ერთ-ერთ ცენტრად ბაკურიანის არჩევა შემთხვევითი როდია. სწორედ ბაკურიანია საერთაშორისო ტურნირებისთვის, მსოფლიო ჩემპიონატებისთვის, ოლიმპიადებისთვის სსრ კავშირის მოთხილამურეთა მოსამზადებელი ცენტრი.

პარტიამ და მთავრობამ სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის მაღალ დონეზე გამართვისთვის სათანადო ღონისძიებანი დასახეს: ბაკურიანში ორივე ტრამპლინზე ყველა სამუშაო დამთავრდება, დასრულდება სწრაფდაშვების კაპიტალური სპეციალური ტრასის მშენებლობა, მოეწყობა საციგაო, უფრო დაიხვეწება რბენის დისტანციები, შეივსება ბაზების ტექნიკა...

ერთი სიტყვით, აქ ყველა პირობა იქნება საიმისოდ, რომ ზამთრის სპარტაკიადის მონაწილეებმა მაღალ შედეგებს მიაღწიონ და მომავალ ოლიმპიადაში გამარჯვებისთვის სათანადო საფუძველი მოიმზადონ. საქართველოდან სამართლიანად მოითხოვენ „თეთრი ოლიმპიადის" კანდიდატებს. რა კეთდება ჩვენში ამ მიზნით? თუ რესპუბლიკის წლევანდელი ჩემპიონატის შედეგებით ვიმსჯელებთ, მშვიდად ყოფნის უფლება არავისა აქვს: არც სამთომოთხილამურეებს, არც ტრამპლინიდან მხტომელებს, არც მოციგავეებს და, მით უმეტეს, ორჭიდელებსა და მორბენლებს.

თუ სამთომოთხილამურე ვაჟთა შორის გვყავს ათამდე სპორტსმენი, რომლებიც მთელ წელიწადს ინტენსიური ვარჯიშის შემდეგ საკავშირო სპარტაკიადაში (მანამდე საქართველოს საუწყებო სპარტაკიადა გაიმართება) საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას შეძლებენ, ქალთა შორის ასეთი მხოლოდ სამია. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა რბოლებში და ორჭიდში. რბოლაში ნ. ბალაშვილს, ქ. კეხბას, რ. მაკიევს, ლ. სოლოიანს და კიდევ ორიოდე მოთხილამურეს, რომლებიც რესპუბლიკაში სადღეისოდ საუკეთესონი არიან, ალბათ დიდი შრომა დასჭირდებათ ხალხთა სპარტაკიადაში ცალკეულ დისტანციებზე იმ 30 სპორტსმენს შორის დასამკვიდრებლად, რომლებმაც თავიანთ კოლექტივებს ჩათვლა უნდა მისცენ. ორჭიდში კი დღესდღეობით ერთი მაღალი კლასის სპორტსმენიც არა გვყავს.

მოციგავეებს მეტი პერსპექტივა აქვთ. წლეულს ბაკურიანში მოზარდთა საკავშირო ტურნირი მასპინძლების დიდი უპირატესობით ჩატარდა, მაგრამ ამან არ უნდა გაგვათამამოს. პირიქით, მწვრთნელებმა, სპორტსმენებმა მეტი მონდომება, მეტი შრომისმოყვარეობა უნდა გამოიჩინონ და შინ საკავშირო სპარტაკიადის რამდენიმე მედალი მაინც დაიტოვონ.

სათხილამურო რბოლის, ორჭიდისა და ტრამპლინიდან ხტომის განსაკუთრებული ჩამორჩენა საქართველოს ამასწინანდელმა ჩემპიონატმაც დაადასტურა. ორჭიდსა და რბოლაში სარბიელზე ერთი სპორტის ოსტატიც არ გამოსულა (არა გვყავს და იმიტომ), არადა, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის ჩვენი მეტოქე გუნდების დიდი უმეტესობა მთლიანად სპორტის ოსტატებით იქნება დაკომპლექტებული.

წარუმატებლობის მიზეზია თოვლიან რაიონებში, სპორტსაზოგადოებებში სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის ნაკლები ზრუნვა. დასამალი როდია, ზოგიერთი სპორტსაზოგადოება თავის პირველობას მოვალეობის მოხდის მიზნით ატარებს, ზოგი კი სულაც არაფერს აკეთებს.

წლევანდელ რესპუბლიკურ ჩემპიონატში გუნდური პირველობისთვის ყველაზე უკეთ მომზადებული ისევ ბორჯომის რაიონის კოლექტივი აღმოჩნდა. თბილისის ნაკრების წევრებმა 14 პირადი I ადგილიდან 10 მოიგეს (ბორჯომელებმა — 4), მაგრამ, ვინაიდან ყველა სახეობაში სრული გუნდები ვერ გამოიყვანეს, საერთო ჩათვლაში პირველი ჯგუფის კოლექტივთა შორის II ადგილს დასჯერდნენ.

მეტს ველოდით მესტიის რაიონის მოთხილამურეებისგან, რომლებიც უწინ ყველასთვის სერიოზული მეტოქეები იყვნენ, წლეულს კი გუნდურ ჩათვლაში მათ თითქმის იმდენი საჯარიმო ქულა მიიღეს, რამდენიც ბორჯომისა და თბილისის კოლექტივებმა ერთად.

მეორე ჯგუფის გუნდების ტურნირმა პირველობა და თასი ბოგდანოვკის რაიონის ნაკრებს არგუნა. ამ წარმატებას მათ უკეთესი მორბენლების წყალობით მიაღწიეს, თორემ სამთომოთხილამურეები და ტრამპლინიდან მხტომელები არც მათ ჰყოლიათ, ისევე როგორც მეორე პრიზიორს — აჭარის კოლექტივს, მესამე პრიზიორებს — ონელებს, რუსთავის, ლენტეხის, ცაგერის, დუშეთის, სამხრეთ ოსეთის, ახალქალაქის ნაკრებ გუნდებს. ამ სახეობათა განვითარებას პირველ ყოვლისა ბაზების უქონლობა აფერხებს, თუმცა რესპუბლიკის თოვლიან რაიონებში სამთოსათხილამურო ტრასებისა და სასწავლო ტრამპლინების აგება არც ისე ძნელი უნდა იყოს.

მესტია სამართლიანად ითვლება ჩვენში სათხილამურო სპორტის ერთ-ერთ ცენტრად, მაგრამ დღემდე საშველი არ დაადგა იმ ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინის დადგმას, რომელიც საქართველოს სპორტკომიტეტმა კარგა ხანია რაიონის სპორტსმენებს გადასცა. ამ ბოლო ხანს მესტიაში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ძლიერი მორბენლებისა და სამთომოთხილამურეების მომზადებასაც.

თუ რესპუბლიკის ჩემპიონატის ტექნიკურ შედეგებს საკლასიფიკაციო ნორმატივების თვალსაზრისით განვიხილავთ, ცხადი გახდება, რომ სახეობათა უმეტესობაში (გარდა სამთომოთხილამურეთა შეჯიბრებისა) ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელ შედეგებს მხოლოდ გამარჯვებულებმა მიაღწიეს. სხვები საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ. მაგალითად, ქალთა შორის 10 კილომეტრზე რბოლაში გამარჯვებულმა ნ. ბალაშვილმა (თბილისი) შეჯიბრება 40 წუთსა და 50 წამში დაამთავრა, ბოლო, IX ადგილზე გასულმა მისმა თანაგუნდელმა ლ. ბანდურამ (რომელიც ასევე პირველთანრიგოსანია) კი საათი და 16 წამი (?!). 30 კილომეტრზე მორბენალ ვაჟთა ტურნირში უძლიერესმა რ. მაკიევმა (თბილისი, 1:47.42) ბორჯომის გუნდის ბოლო ჩამთვლელ მონაწილეს ი. ხეთაგურს 27 წუთი და 15 წამი მოუგო...

უფრო დიდია სხვაობა 5 და 15 კილომეტრზე რბენაში.

როგორც ვწერდით, მსაჯთა კოლეგიამ „მფრინავ მოთხილამურეთა" შეჯიბრება 90-მეტრიანი ტრამპლინიდან 70-მეტრიანზე გადაიტანა და აქაც საცდელი ნახტომების შემდეგ საასპარეზოდ რვიდან მხოლოდ ორი სპორტსმენი დაუშვა. ორჭიდში ჩემპიონობისთვის მარტო ოთხი კაცი იბრძოდა და მათგან მნიშვნელოვანი შედეგი არც ერთს არ მოუპოვებია.

ერთი სიტყვით, რესპუბლიკური ჩემპიონატის შედეგები გვაფიქრებინებს, რომ, თუ საქართველოს ნაკრების ბირთვი ახლავე არ შეიქმნა და გამოცდილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით ინტენსიურად ვარჯიში არ დაიწყო, სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადაში მასპინძლები დიდ სირცხვილს ვჭამთ.

ჩემპიონატის მსვლელობის დროს ვესაუბრეთ რაიონების სპორტკომიტეტების თავმჯდომარეებს, რომლებიც გუნდებს ახლდნენ, წარმომადგენლებს, მწვრთნელებს. მათს ნათქვამს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ რესპუბლიკის თოვლიან რაიონებში ბაზების უკმარობას სავაჭრო ორგანიზაციების გულგრილობაც ემატება: სარეალიზაციოდ ხარისხიანი ინვენტარი არ შეაქვთ. მაგალითად, ონის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ შ. ქოჩლაძემ გვითხრა, რომ რაიონის სპორტსმენთათვის 120 წყვილი თხილამური თბილისში შეუძენიათ. უფრო მეტიც, ზოგიერთი რაიონის სპორტსმენები რესპუბლიკურ ტურნირში ბაკურიანის ინვენტარის გამქირავებელი პუნქტიდან გამოტანილი თხილამურებით ჩაებნენ. ასეთი თხილამურებით, რა თქმა უნდა, შორს ვერ წავალთ.

როგორც მესტიელ ტრამპლინიდან მხტომელთა მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა გ. მჭედლიანმა თქვა, რაიონში არსებული პატარა ტრამპლინი, (იგი „კოლმეურნეს" ეკუთვნის), გადასაკეთებელია. ინვენტარი იქაც აკლიათ.

რესპუბლიკაში სათხილამურო სპორტის განვითარებას დიდად აფერხებს საქმისადმი ზოგიერთი ქალაქის, რაიონის პარტიული კომკავშირული, პროფკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების გულგრილი დამოკიდებულებაც. მხოლოდ გულგრილობით უნდა აიხსნას, რომ წინა რესპუბლიკურ ჩემპიონატში II ჯგუფის კოლექტივების შეჯიბრებაში გამარჯვებული ქუთაისის ნაკრები ამჯერად საასპარეზოდ არ ჩამოვიდა. არც ამბროლაურის რაიონის მოთხილამურეები ჩამოსულან, თუმცა იქ სპორტსკოლის რამდენიმე სპეციალური ჯგუფიც მუშაობს, სათხილამურო სპორტის ბევრი მოყვარულიც ჰყავთ და კარგი ტრადიციაც აქვთ.

სათხილამურო სპორტის განვითარებაში ბევრი სხვა ნაკლიც შეინიშნება, თუ მწვრთნელები, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტები, სპორტსაზოგადოებათა საბჭოები, სპორტსმენები, ყველა, ვისთვისაც საქართველოს სპორტული ღირსების დაცვა ძვირფასია, საერთო ძალით არ ვიბრძოლებთ ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, მომავალ საკავშირო სპარტაკიადაში წარმატების იმედი ნუ გვექნება.

ო. გელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ბაკურიანი.



ნურც შენსას დაივიწყებ...

საქართველოს ზოგიერთ რაიონში სპორტის განვითარების მთავარ საზომად ბოლო ხანებში რატომღაც ფეხბურთი გადაიქცა. ამ სახეობისადმი გადაჭარბებულმა მიდრეკილებამ მანკიერებასაც გაუხსნა გზა ჯანსაღ სპორტში. უკანასკნელ პერიოდში ასეთი დარღვევების ბევრი ფაქტია გამოტანილი სააშკარაოზე, დაიგმო ყოველივე, რაც მიუღებელი და საერთო საქმისთვის საზიანო იყო.

მსგავსი დარღვევები სიღნაღშიც მოხდა. რაიონის ნაკრები გუნდის ფეხბურთელები სხვადასხვა კოლექტივში ფიზკულტურის ინსტრუქტორებად იყვნენ გაფორმებული, მაგრამ ბურთის თამაშის გარდა მათ სხვას არაფერს სთხოვდნენ. მშრომელთა ყოფა-ცხოვრებაში ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვის დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, რომლის გადაწყვეტაც ფიზკულტურის ინსტრუქტორებს ევალებათ, თვითდინებაზე იყო მიშვებული.

ცხადია, ასე დიდხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. ამიტომ სიღნაღის გუნდსაც ჩამოაშორეს ის, რაც მას თავის დროზე ხელოვნურად მიატმასნეს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება კი ერთობ უცნაური მიიღეს. „დაიშალეთო" ადვილია გუნდს უთხრა, მაგრამ აბა წარმოიდგინეთ: ფეხბურთის დიდი პოპულარობის პირობებში რაიონი ნაკრები გუნდის გარეშე დატოვო. „თუ უწინდელი მეთოდებით ფონს ველარ გავალთ, გუნდის შენახვაც შეუძლებელი იქნებაო", — ასეთი იყო ამ გადაწყვეტილების ქვეტექსტი, მაგრამ, როგორც ჩანს, შეცდომას იმთავითვე მიხვდნენ და ადგილობრივ გუნდს „ცისკარს" ტიბაანის კოლმეურნეობის ბაზაზე გადანაცვლება შესთავაზეს.

ასეც მოხდა. ბიჭებმა უარი თქვეს უწინდელ პრივილეგიებზე, კოლმეურნეობაში შესაფერის თანამდებობებზე დაიწყეს მუშაობა და მათს ცხოვრებაში ფეხბურთთან ერთად შრომამაც ჯეროვანი ადგილი დაიმკვიდრა.

მთელ ამ ამბავში უცნაური მაინცდამაინც არაფერია, მაგრამ ჩვენ რედაქციაში შემოსულმა ერთმა წერილმა დაგვაფიქრა. ნაკრები გუნდის ტიბაანში გადანაცვლებით რაიონული ცენტრისა და მეზობელი სოფლების ახალგაზრდებს ფეხბურთში შემდგომი დაოსტატების გზა მოეჭრათო, — გვწერდა ანაგელი ვასილ ალხანაშვილი.

ეს სამართლიანი შენიშვნაა. მართლაც, რა იყო მიზეზი, რომ „მსაჯულთათვის" გუნდის ტიბაანში გადასროლა უფრო ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე თუნდაც იმავე საწყისებზე თვით სიღნაღში მისი შენარჩუნება?

ალხანაშვილი სპორტის მოყვარულია, მისი სამივე ვაჟიც ფეხბურთითაა გატაცებული. ვფიქრობდით, სპორტული ოჯახის თავკაცი ალალი გულშემატკივრის მიუკერძოებლობით ამხელდა უდისციპლინობის, უხეშობისა და ლოთობის ფაქტებს. წერილის ავტორის გულისტკივილიც მით უფრო საგულისხმო იყო, რომ დაჟინებით ამტკიცებდა — ფეხბურთელები სისტემატურად ლოთობდნენ და საქართველოს პირველობაზე გუნდის წარუმატებლობის მთავარი მიზეზიც სწორედ ეს გახლდათო.

მაგრამ დახეთ საოცრებას! როგორც გამოირკვა, კაცს, რომელიც სიკეთისა და სიმართლის ქადაგად გვევლინებოდა, თურმე თავადაც ედო წილი იმ დანაშაულში, რაც მან ბრალდებად წაუყენა ფეხბურთელთა კოლექტივს. ამ კაცმა თანამზრახველთაგან საკუთარი თავი გამორიცხა, უცოდველის ქურქი მოისხა და სხვებს უკიჟინა უდისციპლინობა.

აქ გადაჭარბებული არაფერია. შარშან ბიჭვინთაში შეკრებაზე ყოფნისას სიღნაღელთა გუნდმა ვარჯიშის ნაცვლად დრო ლოთობაში გაატარაო, — გვიმტკიცებდა ალხანაშვილი.

ნუ გაიოცებთ და მზიურ კურორტზე იგი თავად მოევლინა ფეხბურთელებს ანაგური ნუნუათი სავსე ტიკებითა და სპორტსმენებსაც ამ ძღვენით მიულხენიათ. მას შემდეგ თითქმის წელიწადმა გაიარა, ალხანაშვილმა კი ახლახან გაიხსენა, რომ ბიჭვინთაში გამართული ღრეობით გუნდმა დისციპლინა დაარღვია და ამისთვის მწვრთნელმა და მასთან შეამხანაგებულმა ვეტერანმა ფეხბურთელებმა უნდა აგონ პასუხი. არ გეგონოთ ალხანაშვილმა მართლა საყვარელი გუნდის ბედ-იღბლით შეწუხებულმა მიმართა რედაქციას. ასე რომ იყოს, იგი დროულად ამხელდა ნაკლოვანებებს და ბოლოს და ბოლოს თავადაც არ გახდებოდა ბიჭვინთაში ლოთობის წამომწყები. როცა კალამს ხელში იღებდა, მამას მხოლოდ გუნდთან დაკავშირებული შვილის ბედი აფიქრებდა, მაგრამ სათქმელი პირდაპირ არ თქვა, შორიდან დაიწყო და წარსული ამბებიც მხოლოდ იმიტომ გაიხსენა, რომ ტიბაანში გამობრწყინებული „ცისკრის" შემადგენლობაში თავისი პირმშო ველარ იხილა.

— შეგიძლიათ მწვრთნელად იმუშაოთ?—ვკითხეთ ალხანაშვილს.

რატომაც არა, [illegible]რებული პასუხი, მაგრამ, როგორც კი საუბარი საზოგადოებრივი მწვრთნელის პატრიოტულ მოვალეობაზე გადავიტანეთ, ეს ამბავი შორს დაიჭირა. არა და ანაგაში მართლაც ბევრი ახალგაზრდაა, რომელთაც მზრუნველი ხელი სჭირდებათ. მათი დახმარების უნარი დიახაც რომ შესწევს ალხანაშვილს, მაგრამ სპორტში საზოგადოებრივ მწვრთნელობაზე რა უნდა ვილაპარაკოთ, როცა ეს კაცი, როგორც კოლმეურნეობის წევრი, მშობლიური სოფლის საკეთილდღეოდ სავალდებულო შრომაშიც ვერ დაუყოლიებიათ. აქაო და მამაპაპური მიწის ფართობიდან ნაკვეთი ჩამომაჭრესო, გაბრაზებულა და შარშან 15 კოლწევრ ქალთან ერთად არც ერთი შრომადღე არ გამოუმუშავებია სასოფლო-სამეურნეო არტელში.

ცხადია, სოფელს გამრჯე ადამიანები სჭირდება. იქ, სადაც ხალისიანი შრომაა, სპორტიც იტყვის თავის სიტყვას, მაგრამ ვინ უნდა ჩაუნერგოს ახალგაზრდებს მშობლიური სოფლისა და რაიონის სიყვარული, თუ არა ისევ მშობლებმა? ვასილ ალხანაშვილმა კი პირადად შეუწყო ხელი თავის სამ ვაჟიშვილს სოფლისთვის ზურგი შეექციათ და „საასპარეზოდ" სხვა რაიონს შეკედლებოდნენ.

თ. გაჩეჩილაძე,
ზ. ხორავა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სიღნაღი.

პირველი ნაბიჯები

რაინდთა ნებისმიერ ორდენს შეშურდებოდა სიმრავლე ნორჩი მუშკეტერებისა, რომლებმაც ამ დღეებში თავი მოიყარეს ვაკეში, ახალ საფარიკაო დარბაზში. მუშკეტერები მათ მხოლოდ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ, რადგანაც ჯერ არ გაუვლიათ მკაცრი, უშეღავათო ასპარეზობათა გრძელი გზა.

ორას ორმოცდაათი ნორჩი მოფარიკავე, ქართული ფარიკაობის ორას ორმოცდაათი იმედი, სპორტის ამ ლამაზი სახეობის ორას ორმოცდაათი „პაჟი". ეს იყო ჭეშმარიტი საფარიკაო დღესასწაული, რომელიც უთუოდ გარკვეულ კვალს დატოვებს ასობით მოზარდის ცნობიერებაში. მე უნებურად გამახსენდა 50-ანი წლების ნორჩი მოფარიკავეები. მაშინაც უჩვეულო საფარიკაო „ბუმი" იგრძნობოდა. დარბაზში ვერ აუდიოდა თაყვანისმცემლებს. იმ მოფარიკავეთა რიგებიდან გამოვიდნენ შეუდარებელი ოსტატები. ისტორია მეორდება...

რით მიიზიდა ამდენი ნორჩი თბილისის პირველობამ? ვინ გამოიყვანა ისინი ბილიკზე? მათი უმრავლესობა საფარიკაო ხელოვნებას სულ რაღაც ერთი წლის უკან ეზიარა, ხოლო ფეხი პირველად თბილისის განათლების განყოფილების სპეციალიზებულ საფარიკაო სკოლაში „აიდგა", რომელსაც ოლიმპიური ჩემპიონი ნ. ასათიანი ხელმძღვანელობს.

აი, ბილიკზე ორი 12-13 წლის ბიჭუნა გამოჩნდა. თავიანთი ასაკის კვალობაზე საკმაოდ თამამად უჭირავთ თავი. მოდით, წუთით მათზე შევაჩეროთ ყურადღება. ეს ტიპური მოასპარეზე წყვილია. მსაჯის ნიშანი, ტრადიციული საფარიკაო რიტუალი და ბრძოლა იწყება. შედეგი მაინცდამაინც საინტერესო არ არის. რით გამოირჩევა ეს „ტიპური წყვილი"? თავიდანვე ჩანს სწორი, აკადემიური მანერა. ამას ბავშვები თავისით ვერ ისწავლიან. აქ უთუოდ იგრძნობა კვალიფიციური, საქმის მოყვარული მწვრთნელის ხელი: ფარვა, ვარდნა, —ელვა-შეტევა და საფარიკაო ბრძოლის სხვა კომპონენტები სრულდება ზუსტად, ძალდაუტანებლად. რაც მთავარია, ეს არის ნამდვილი ბრძოლა და არა „ძიძგილაობა". მოფარიკავეები იბრძვიან ღირსების გრძნობით, საფარიკაო ეტიკეტის დაცვით.

ბრძოლა დამთავრდა. ჩვენი „ტიპური" წყვილი ბილიკს ტოვებს. მაგრამ ეს რა ხდება? გაოფლილ ნიღბებს, ხელთათმანებს, „იარაღს" ბიჭები სხვა წყვილს გადასცემენ. დიახ, სამწუხაროდ, ასეა. სპეციალიზებულ სკოლას 450 მოწაფე ჰყავს, მაგრამ ყველასთვის როდი აქვს საჭირო ინვენტარი. და ეს ხდება ჩვენი რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს საფარიკაო ცენტრში! ჯეჯილი მაინც იხარებს, მაგრამ საჭიროა მის ზრდას მეტი მზრუნველობითა და ყურადღებით მოვეკიდოთ.

კიდევ რა პრობლემები დგას ახალშექმნილი სპეციალიზებული სკოლის წინაშე (ახალშექმნილს იმიტომ ვამბობთ, რომ სკოლა ერთი წლის წინათ დაარსდა)? თქმა არ უნდა, სკოლა დაკომპლექტებულია ახალგაზრდა ნიჭიერი, მონდომებული მწვრთნელებით. მათი უმრავლესობა წარმატებით გამოდიოდა დიდ შეჯიბრებებში და სრულყოფილადაც ფლობს საფარიკაო ხელოვნებას. მაგრამ მოზარდის აღზრდა ერთობ რთული პროფესიაა. მონდომებასა და ენთუზიაზმს უნდა განამტკიცებდეს კარგი პროფესიული პედაგოგიური განათლება. ვფიქრობ, საამისოდ საჭიროა სისტემატურად იმართებოდეს მწვრთნელთა თეორიული და პრაქტიკული თათბირ-სემინარები. ეს გამოცდილების გაზიარების უებარი საშუალება იქნება. შიშველ პრაქტიციზმს დღესდღეობით სპორტში, კერძოდ, ფარიკაობაში გარკვეულ დრომდე შეუძლია დადებითი შედეგი მოგვცეს, მაგრამ უკვე ახლავე უნდა ვიფიქროთ, რომ ორას ორმოცდაათი მუშკეტერი, თბილისის ახლანდელ პირველობაში მონაწილე ქართული ფარიკაობის ორას ორმოცდაათი იმედი ერთი-ორი წლის შემდეგ მოითხოვს გაცილებით კვალიფიციურ, ინტენსიურ წვრთნა-ვარჯიშს. თავისთავად ცხადია, მწვრთნელთა ჯგუფი მზად უნდა იყოს ამ მოსალოდნელი მეტამორფოზისთვის.

კიდევ ერთი შენიშვნა, უფრო სწორად, სურვილი: დაგვეთანხმებით, ბავშვისთვის ძნელი გამოსათქმელია მუშკეტერთა ამ თავისებური კლუბის სახელწოდება: „თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა სპეციალიზებული საფარიკაო სკოლა". ხომ არ აჯობებდა მისთვის დაგვერქმია რაიმე უფრო ლაკონიური სახელი: „ნორჩი მუშკეტერი" ან „მუშკეტერთა კლუბი"? ეს პირობითი სახელწოდებანი გახლავთ, იქნებ ფარიკაობის თაყვანისმცემლები და გულშემატკივრები დაგვეხმარონ უკეთესის შერჩევაში.

თბილისის მოსწავლეთა შეჯიბრების ანალიზს გვერდი განზრახ ავუარეთ, ვინაიდან ჯერჯერობით ახალბედების ოსტატობაზე ლაპარაკი ზედმეტად მივიჩნიეთ. მართლაც, ჩვენ ამჟამად ის გვახარებს, ფარიკაობა ასერიგად „წყალუხვი" რომ გახდა. მოდით, დაველოდოთ მომავალ შეჯიბრებებს და სპორტსმენთა ფიზიკურ, ტექნიკურ, ტაქტიკურ მომზადებაზე შემდეგ ვისაუბროთ. ახლა კი გთავაზობთ მხოლოდ ტექნიკურ შედეგებს:

1959-60 წლებში დაბადებულნი. რაპირა. ბიჭები. 1. გ. ხააკაძე, 2. მ. გურგენიძე, 3. ვ. ბუზუკაშვილი; გოგონები. 1. ე. ძნელაძე, 2. ზ. ოზმანოვა, 3. ი. გერასიმოვა. ხმალი. 1. გ. პაიჭაძე, 2. კ. შუშაბერიძე, 3. გ. კახიანი. 1956-58 წლებში დაბადებულნი. რაპირა. ბიჭები. 1. მ. გუგუშვილი, 2. გ. ქუთიმიშვილი, 3. გ. აბაშიძე; გოგონები. 1. მ. გეჯაძე, 2. მ. ნასარიძე, 3. ლ. ბერაძე. ხმალი. 1. ს. სელაპოვი, 2. ს. სიფრაშვილი, 3. ს. შარაშიძე. დაშნა. ა. კატანჯიანი, 2. თ. გულორდავა, 3. დ. ბექანიშვილი.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.



ნ. ქელესაშვილის ნახატი.

— ამ ბოლო დროს სტადიონზე აღარ დავდივარ, ტელევიზორთან ჯდომა მირჩევნია: ჩვენების გატანილ გოლს სამჯერ აჩვენებენ.

უკეთესი შედეგების მოლოდინში

ცურვაში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზის წლევანდელი გათამაშების სისტემა უწინდელისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. წლევანდლამდე ტურნირებს ფიზკულტურის საქალაქო და რესპუბლიკური კომიტეტები აწყობდნენ, ფინალში კი ის სპორტსმენები დაიშვებოდნენ, რომლებიც საკავშირო მასშტაბის შედეგებით ამის უფლებას მოიპოვებდნენ. წლეულს ყველაფერი სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს მიანდვეს: ყველა საზოგადოება მართავს თავის საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებს. საუკეთესო გუნდები ზონალურ ტურნირებში გამოდიან და ეტაპზე ასპარეზობის საკითხი ამ შეჯიბრებათა შედეგების მიხედვით წყდება.

რესპუბლიკური ცენტრალური საბჭოების ზონალურ ტურნირებს ამ დღეებში ფრუნზესა (ქალები) და აშხაბადის (ვაჟები) 25-მეტრიანი აუზები უმასპინძლებენ. „განთიადის" მოცურავეებიც „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზის გათამაშების ფინალური საგზურებისთვის სწორედ ამ ქალაქებში იბრძოლებენ. ფინალები რიგასა (ქალები) და ჩელიაბინსკში (ვაჟები) მოეწყობა.

„განთიადის" ცენტრალური საბჭოს პირველობა (მას წინ საქალაქო ტურნირები უსწრებდა) ამას წინათ თბილისში, რესპუბლიკური სპორტკომბინატის აუზში ჩატარდა. შედეგები მაინცდამაინც ბრწყინვალე არ იყო. მონაწილეებმა შვიდი სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და ორმოცი პირველი თანრიგის შესაბამისი შედეგი აჩვენეს. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ამ სეზონში მეორე შეჯიბრება იყო, თანაც, ჩვენი რესპუბლიკის მოცურავეები აუზებით განებივრებული არ არიან და ინტენსიური ვარჯიშის საშუალება არა აქვთ, საგანგაშო არაფერია. ყველაზე მეტად ის გვაფიქრებს, რომ აგერ მერამდენე წელია საქართველოში საშველი არ დაადგა ბატერფლაის სტილით მოცურავეთა მომზადებას.

200 მეტრზე ამ სტილით ცურვის სტარტზე სამი ქალი გამოვიდა. განთიადელებს სახარბიელო მდგომარეობა არც 400 მეტრზე ქალთა კომპლექსურ ცურვაში აქვთ, რესპუბლიკურ შეჯიბრებაში ოთხი სპორტსმენის გამოსვლა, რა თქმა უნდა, ამ სახეობის განვითარებისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს. ნაკლი მით უფრო თვალსაჩინოა, რომ ამ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის განათლების განყოფილების ის მოცურავეებიც, რომლებიც „განთიადის" წევრები არიან და ეს საზოგადოება უწევთ შეფობას.

ტექნიკური შედეგები მოწმობს, რომ ზოგიერთი მწვრთნელი ამ შეჯიბრებისთვის სპორტსმენთა მომზადებას გულგრილად მოეკიდა. ეს განსაკუთრებით თბილისელ მწვრთნელზე ლ. სალუქვაძეზე ითქმის. ამ შეჯიბრებაში მისი მოწაფეები სტარტზე თვრამეტჯერ გამოვიდნენ და თორმეტჯერ ბოლო ადგილზე დარჩნენ.

ყველაზე უკეთესი შთაბეჭდილება თბილისელი მწვრთნელის ლ. ვეჩხაიზერის, გაგრელი მწვრთნელების ვ. კონონოვისა და ს. კოზირევას აღსაზრდელებმა მოახდინეს. ვეჩხაიზერის მოწაფეებმა ექვსი I ადგილი დაიკავეს, კონონოვისა და კოზირევას მომზადებულებმა ლ. სუინამ და ა. ბავინმა კი სამ-სამ დისტანციაზე იმარჯვეს.

გთავაზობთ იმ მოცურავეთა ტექნიკურ შედეგებს, რომლებმაც საპრიზო ადგილები პირველი თანრიგის შესაბამისი და უკეთესი შედეგებით დაიკავეს.

ქალები. თავისუფალი სტილი. **100 მ.** ლ. სუინა (გაგრა) — 1.04,0, ი. მარგიშვილი (თბილისი) — 1.06,7, ტ. კოსტირევა (ქუთაისი) — 1.08,7; **200 მ.** სუინა — 2.20,5, მარგიშვილი — 2.28,1; **400 მ.** სუინა — 4.59,6; **800 მ.** ნ. გეოკჩოღლიანი (თბილისი) — 10.40,2, სუინა — 10.48,0. **ბრასი. 100 მ.** ა. ფურსანოვა (თბილისი)—1.25,8; **200 მ.** მ. გამზინა—3.03,8, ფურსანოვა — 3.04,7, ო. გორბუნოვა (ყველა — თბილისი) — 3.09,3, **ბატერფლაი. 100 და 200 მ.** ჯ. პროსკურინა (თბილისი) — 1.12,0 და 2.39,7. **გულაღმა. 100 და 200 მ.** ტ. ვეტერი (ციათურა) — 1.16,0 და 2.42,8. **კომპლექსური. 200 მ.** ი. ზოტოვა (ქუთაისი) — 2.46,8, ლ. იმნაძე (თბილისი) — 2.48,3, გამზინა — 2.53,8; **400 მ.** იმნაძე — 5.55,1, გამზინა — 6.01,8.

ვაჟები. თავისუფალი სტილი. **100 მ.** ა. ბავინი (გაგრა) — 59,7, ა. რეზნიკოვი — 1.00,1, გ. გოდერძიშვილი (ორივე — თბილისი) — 1.00,8; **200 მ.** ბავინი — 2.01,9; **400 მ.** ბავინი — 4.19,7, გოდერძიშვილი — 4.41,3; **1500 მ.** გოდერძიშვილი — 18.12,0. **ბრასი. 100 მ.** ს. ნედელკო — 1.14,3, ი. ლეკვეიშვილი (ორივე — თბილისი) — 1.14,4; **200 მ.** ნედელკო — 2.41,2, ლეკვეიშვილი — 2.43,9. **გულაღმა. 100 მ.** ა. ვეჩხაიზერი — 1.04,0, ს. ქობულოვი (ორივე — თბილისი) — 1.09,0; **200 მ.** ვეჩხაიზერი — 2.18,8, ქობულოვი — 2.28,0, **კომპლექსური. 200 მ.** დ. გრიგორი (თბილისი) — 2.19,2, ვ. სტეგნცევი (ბათუმი) — 2.19,8, გოდერძიშვილი — 2.20,7; **400 მ.** გოდერძიშვილი — 4.54,0, გრიგორი — 5.10,0.

მ. ძიმისტარიშვილი.

ალი თუ ფორმენი?

ისინი ორი წვეთი წყალივით ჰგვანან ერთმანეთს. ამავე დროს, საოცრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

მუჰამედ ალი ოლიმპიური ჩემპიონი რომში გახდა, ჯორჯ ფორმენი კი მეხიკოში. შემდეგ ორივემ დაანება თავი სამოყვარულო კრივს.

ალის გამარჯვება სონი ლისტონთან, რამაც ახალგაზრდა მოკრივეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოუტანა, საუკუნის სენსაციად მიიჩნიეს. ასეთივე სენსაცია იყო ფორმენისა და ჯო ფრეზიერის შეხვედრის შედეგი.

ლისტონის მარცხმა პროფესიული კრივის ბირჟა კრიზისამდე მიიყვანა, ვინაიდან მაშინდელი მსოფლიო ჩემპიონის შანსები მუჰამედ ალისთან ასე ფასდებოდა: 10:1. დაახლოებით ასეთივე შეფარდება იყო ბირჟაზე ფრეზიერ—ფორმენის მატჩის წინ მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ, მაგრამ ამჯერადაც კატასტროფა მოხდა — მოთამაშეთა 99 პროცენტი გაკოტრდა.

აი, ის მთავარი მომენტები, რომელთა გამოც ამბობენ ალისა და ფორმენის სპორტული კარიერა დაახლოებით ერთნაირი გზით ვითარდებოდაო.

ახლა რამდენიმე სიტყვა განსხვავებებზე.

მუჰამედ ალი შეძლებული ზანგის ოჯახიდანაა გამოსული. მისი წინაპრები ქალაქ ლუისვილში ცხოვრობდნენ და ექვსი თაობის მანძილზე აგროვებდნენ კაპიტალს, რომელსაც ალისთვის შედარებით უზრუნველი ცხოვრება უნდა შეექმნა. მაგრამ ალის, ამაყ და გულზვიად ჭაბუკს, მოსვენებას არ აძლევდა, რომ მისი ოჯახი მდიდარი პლანტატორის კასიუს მარცელიუს კლეის პირად საკუთრებას წარმოადგენდა (აქედან წარმოსდგა მუჰამედ ალის უწინდელი სახელიც). როგორც კი ჭაბუკმა პროფესიულ რინგზე პირველი სერიოზული გამარჯვება იზეიმა, უარი თქვა თავის ძველ გვარზე და მუჰამედ ალიდ იქცა.

1964 წლის 25 თებერვალს დაემხო მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი მძიმე წონაში ლისტონი. ეს მოხდა მაიამი-ბიჩში, როცა ლისტონის მენეჯერმა ჯეკ ნილონმა მეშვიდე რაუნდის დასაწყისში 8 ათასი მაყურებლის წინაშე ისტორიული სიტყვები წარმოთქვა: „სონი რინგზე არ გამოვა, მარცხენა მხარი ძალიან დაშავებული აქვს".

მეორე დღეს, 26 თებერვალს, ახალგამომცხვარმა ჩემპიონმა საჯაროდ განაცხადა, რომ ეწერება „შავი მუსულმანების" სექტაში მღვდლად და ამიერიდან კასიუს მარცელიუს კლეი კი არა, მუჰამედ ალი იქნება.

ჯორჯ ფორმენი ტეხასის შტატის ქალაქ მარშალში დაიბადა. მამამისს — რკინიგზის მშენებელ მუშას — შვიდი შვილი ჰყავდა გასაზრდელი და დიდი უკმაყოფილება არ გამოუთქვამს, როცა პატარა ჯორჯმა ოჯახი მიატოვა. ამ დროს ფორმენები ჰიუსტონში ცხოვრობდნენ და 7 წლის ბიჭუნამ ლუკმაპურის საშოვნელად უცხო ქალაქში დაიწყო ხეტიალი.

თვით ფორმენი ასე იგონებს თავის ბავშვობას: „ჩემი ძირითადი პროფესია მაწანწალობა იყო. დავეხეტებოდი თანატოლებთან ერთად მტრულად განწყობილი ქალაქის ქუჩებში. მაწანწალებს სამუშაოს, რა თქმა უნდა, არავინ გვაძლევდა. ჩემი და ჩემი მაშინდელი მეგობრების ერთადერთი მიზანი ის იყო, როგორმე პოლიციის კლანჭებში არ მოვხვედრილიყავით. პოლიციელები ფეხდაფეხ დამდევდნენ, ისინი ღამით, ძილშიც არ მაძლევდნენ მოსვენებას".

1967 წლის მარტში მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ალიმ მშვიდად გაიარა წვევამდელთა სამედიცინო კომისია და ასევე მშვიდად თქვა უარი ჯარში წასვლაზე. ეს ცნობა ყუმბარასავით გასკდა შტატებში. ალი დაუპირისპირდა ყოვლისშემძლე პენტაგონს და უარი თქვა სავალდებულო სამხედრო სამსახურზე. მეამბოხე სულმა და სურვილმა, რომ ცოტა მაინც გამოსდგომოდა თავის დაბეჩავებულ ხალხს, ალი ერთბაშად დააყენა ზანგების ეროვნული უფლებებისთვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

ცხადია, ამ თამამ საქციელზე პენტაგონის რეაქცია მკაცრი და კატეგორიული იყო. ჰიუსტონის სასამართლომ ოპერატიულად გაარჩია სკანდალური საქმე და მეამბოხეს 5 წლით პატიმრობა მიუსაჯა, თანაც ჯარიმის სახით აშშ-ს სამხედრო უწყების სასარგებლოდ 5 ათასი დოლარი გადაახდევინა.

ამ დროს ფორმენი მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებით იყო გართული. იგი მენეჯერებმა ძალდატანებით ჩააბეს კრივში. ფიზიკურად ძლიერი და გამძლე ჭაბუკი სულ სხვა კარიერაზე ოცნებობდა. ჩხუბი მან ქუჩაში ხეტიალის დროს ისწავლა, ოღონდ, როგორც თავდაცვის საშუალება, მერე კი შრომაგამასწორებელ ბანაკში მოხვდა და კრივის ანბანს იქ დაეუფლა. შემდგომ სამუელ ნორისმა თვალი დაადგა, დარბაზში მიიყვანა, ხელთათმანები ჩააცვა და რამდენიმე მარტივი მოძრაობა ასწავლა. ჭაბუკმა, რომ იტყვიან, ერთი ხელის მოქნევით რამდენიმე მეტოქე დაანარცხა მიწაზე. მერე მას პირობები შეუქმნეს, ოლიმპიურ გუნდში ჩარიცხეს და გაძლიერებულ წვრთნაზე გადაიყვანეს.

მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში ფორმენმა ყველა ბრძოლა მოიგო, თუმცა აშკარად ატყობდა, რომ პროფესიული მოკრივის ჩვევებს ბოლომდე დაუფლებული არ იყო. მეხიკოში გამარჯვებამ ძირფესვიანად შეცვალა მისი გეგმები. ფორმენმა უარი თქვა თავის პირვანდელ განზრახვაზე, რომ პოლიციელი გამხდარიყო, და სერიოზულ წვრთნას შეუდგა. ოლიმპიურ ჩემპიონს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა პროფესიონალებში გადასვლა.

ზუსტად 43 თვეს იბრძოდა ალი თავისი უფლებების აღსადგენად. იბრძოდა ჯიუტად, მოთმინებით, და მანამ არ მოისვენა, სანამ საწადელს მიაღწია. 1970 წელს ქალაქ ატლანტის მერმა სემ მასელმა, გუბერნატორის პროტესტის მიუხედავად, ალის ნება დართო ჯერი ქვორისთან ესინჯა ძალა. მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი რინგს დაუბრუნდა.

ერთი წლით ადრე კი ფორმენმა პირველად მიიღო ნამდვილი ბრძოლის უფლება. მისი მეტოქე იყო მუჰამედ ალის ტიტულის მთავარი პრეტენდენტი ჯო ფრეზიერი. ტოკიოში გამართული ეს ბრძოლა ფორმენმა ქულებით წააგო. ფრეზიერმა მატჩის შემდეგ ქებით მოიხსენია თავისი მეტოქე: „ჯორჯის მთავარი ღირსება ის არის, რომ ვერ გრძნობს დარტყმას, თვითონ კი ხელის ერთი მოქნევით ხარს წააქცევს. მე ბევრი პროფესიული მოკრივე მინახავს და უტყუარი ალღო მაქვს. იცოდეთ, იგი დიდი მოკრივე გახდება". რა იცოდა საწყალმა ჯომ, რომ ამ წინასწარმეტყველების გამართლებას რამდენიმე წელიწადში თავის თავზე გამოცდიდა!

1971 წლის 8 მარტს ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში" ჯო ფრეზიერმა ოფიციალურად წაართვა ტიტული მუჰამედ ალის და თვითონ დაიდგა გვირგვინი თავზე. სამი თვის შემდეგ კი ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესმა სასამართლომ ალის ბრალდება მოუხსნა. ჩემპიონის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ერა — ფრეზიერთან განმეორებითი ბრძოლისთვის მზადება.

ბევრი შეხვედრა ჩაატარა ამ ხნის მანძილზე ალიმ, ბევრი საუკეთესო მოკრივე გაამწარა, ბევრჯერ დაამტკიცა, რომ ღირსია მიიღოს ფრეზიერთან ბრძოლის უფლება. მაგრამ აბსოლუტური ჩემპიონი ყოველნაირად გაურბოდა სარევანშო შეხვედრას, არ ჩქარობდა და პარტნიორებად შედარებით სუსტ მოკრივეებს ირჩევდა.

ასე მომწიფდა მის გონებაში აზრი ფორმენთან შეხვედრაზე, რომელიც სპეციალისტთა ერთ ნაწილს „დიდ მოკრივედ" არ მიაჩნდა. ფრეზიერმა პირველმა აღიარა ფორმენის ღირსებები, მაგრამ იგი, რა თქმა უნდა, ვერასდროს იფიქრებდა, რომ ამ აღიარებით თავის მძლეველს თვითონვე აძლევდა დიდი კრივის საგზურს. ფორმენისა და ფრეზიერის ორთაბრძოლა, როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონისთვის ტრაგიკულად დამთავრდა. დაემხო ერთი მონარქი. ტახტზე მეორე ავიდა — უფრო ახალგაზრდა, უფრო თამამი და უშიშარი.

ალი კი ისევ გზებს ეძებს, ეძებს საშუალებებს, რომ როგორმე მოიპოვოს გვირგვინისთვის ბრძოლის უფლება. ფრეზიერთან გამარჯვების მეორე დღეს ფორმენს ალის ემისრები ესტუმრნენ, მაგრამ ახალი ჩემპიონი, ძველის მსგავსად გაურბის პირდაპირ პასუხს. იგი ახლა უფრო ფრთხილია და თავდაჭერილი, ღიმილით იღებს შენიშვნებს, მაგრამ კონკრეტული პასუხისგან დიპლომატიურად იკავებს თავს. ამერიკის პრესას არ უყვარს ახეთი ჩემპიონები. ამიტომ იგი ახლავე ეჭვქვეშ აყენებს მსოფლიო ჩემპიონის ღირსებებს. ერთ-ერთმა მიმომხილველმა ისიც კი თქვა, ფორმენი ღირსეული ჩემპიონი არ არის, ვინაიდან თავის დროზე ოსკარ ბონავენასთან, ჯერი ქვორისთან და ჯიმ ელისთან შეხვედრები აიცდინაო.

თვითონ ფორმენს უყვარს ფილოსოფიური მსჯელობა: „მსოფლიო ჩემპიონობა, — ამბობს იგი, — მეტწილად ტიტულის თხოვებაა. ჯერ ალი იყო უძლეველი, მერე მან ფრეზიერს ათხოვა თავისი ტიტული, ფრეზიერმა — მე. გავა რამდენიმე წელი, სამი ან ოთხი, და ვიღაც მეთხვეს უკვე მე ვათხოვებ ტიტულს. ასე იყო მუდამ პროფესიული კრივის ისტორიაში. ასე იქნება შემდგომშიც. უძლიერესები ერთმანეთს სცვლიან. უცვლელია მხოლოდ გვირგვინი".

ვინ იცის, მსოფლიო ჩემპიონი იქნებ არც ცდება. ამიტომაც სურს რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოს თავისი სახელი. „მე ჩემპიონი მანამ ვიქნები, ვიდრე ამის უფლებას სხვა მომცემს. მიზანი გვირგვინის შენარჩუნება კი არ უნდა იყოს, არამედ კარგი, მეგობრული ურთიერთობა პრეტენდენტებთან. და როცა მარცხის დრო დადგება, ჩემს ტიტულს ღიმილით გადავცემ მეორეს. იმიტომ, რომ იგი სიკვდილამდე ჩემს მეგობრად უნდა დარჩეს".

ფორმენს მძიმე ახალგაზრდობა ჰქონდა. მას არ უნდა კვლავ ცხოვრებისგან გარიყული დარჩეს. თავის უმაღლეს ტიტულს იგი ასე თუ ისე დათმობს, მაგრამ მდგომარეობას, რომელმაც იგი ხალხში გამოიყვანა, თვალისჩინივით უფრთხილდება. რა არის ამაში ცუდი?

ნ. ახვლედიანი.

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ ამასწინანდელ მეტოქეებს — მძიმე წონის ამერიკელ პროფესიულ მოკრივეებს ჯო ფრეზიერსა და ჯორჯ ფორმენს. ორივე მშვენიერ გუნებაზეა, მაგრამ ალბათ მიხვდით, რომ ერთი სურათი ფორმენ—ფრეზიერის მატჩის წინაა გადაღებული, მეორე კი ამ ორთაბრძოლის შემდეგ.

მარცხენა სურათზე ფრეზიერი ორი ექიმის — ჯეიმს გიფრესა (მარცხნივ) და ჯოუე გარსიას გარემოცვაშია ალბეჭდილი. იგი ფილადელფიის ერთ-ერთ საავადმყოფოში დასასვენებლად და პატარა მკურნალობისთვის ჩაეწერა. ჯო მშვენიერ განწყობილებაზეა, მუხლებზე გიტარაც კი უდევს და ექიმებს ეხუმრება.

მარჯვენა სურათზე კი ხედავთ სახეგაბრწყინებულ ახალგამომცხვარ მსოფლიო ჩემპიონს ჯორჯ ფორმენს. მის სიხარულს საზღვარი არა აქვს. ფორმენი თავის მენეჯერთან დიკ სადლერთან (მარცხნივ) და არჩი მურთან ერთადაა გადაღებული. გიმეორებთ, იგი ეს-ესაა მსოფლიო ჩემპიონი გახდა...

კაფ-ისა და ასოშიეიტედ პრესის ფოტოები.

[illegible]

ასზე მეტი მონაწილე

წინა ნომერში ვიუწყებოდით ლენინგრადში მაგიდის ჩოგბურთის ოსტატთა ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ბათუმელი ს. სარხოიანის ბრწყინვალე გამარჯვებას. ახლა გაგაცნობთ სხვა გამარჯვებულებსაც: ქალთა ერთეულების თანრიგში, ყველას აჯობა უნგრელმა ი. მაგოშმა, ხოლო ქალთა წყვილებში — საბჭოთა დუეტმა: ა. გედრაიტიტემ და ე. ანტონიანმა.

ებერჰარდ შელერი (გფრ) ვაჟთა ერთეულების თანრიგის ფინალში გავიდა, მაგრამ სარხოიანთან გადამწყვეტი ბრძოლა არ ჩაუტარებია, ვინაიდან ფეხი იტკინა.

შეჯიბრებამ სსრ კავშირის, ბულგარეთის, გდრ-ის, გფრ-ის, იუგოსლავიის, კუბის, რუმინეთის, პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის 100-ზე მეტ სპორტსმენს მოუყარა თავი.

[illegible]

ცხაკაია

აქ დამთავრდა რაიონის მოსწავლეთა გუნდური პირველობა ჭადრაკში. შეჯიბრებაში 103 ჭაბუკი და გოგონა მონაწილეობდა. სოფლის სკოლების ტურნირში I ადგილი დაიკავეს ზანის, II — ძველი სენაკის, III — ზემო ფოცხოს საშუალო სკოლების წარმომადგენლებმა. ჭაბუკებში თავი ისახელეს ა. ჯანჯღავამ (ნოქალაქევი) და მ. ქავთარაძემ (ძველი სენაკი), გოგონებში კი ნ. მაისაიამ (ვეჯინი), მ. ქავთარაძემ (ძველი სენაკი), ი. გაბისონიამ (ფოცხო) და ლ. კვირაიამ (ზანი). ცხაკაიას სკოლებს შორის პირველობა მე-3 საშუალოს კოლექტივმა დაისაკუთრა. II ადგილზე არიან 1-ლი, III კი მე-2 საშუალო სკოლების მოჭადრაკეები. ჭაბუკებიდან წარმატებით ითამაშეს მ. ხოჭოლავამ (მე-2 სკოლა), ზ. ლიფონავამ და თ. ფალავამ (ორივე — მე-3 სკოლა), გოგონებიდან — ნ. მიქაძემ (მე-2 სკოლა), ა. ჭითავამ (1-ლი სკოლა), ნ. და მ. ლიფონავებმა (ორივე — მე-3 სკოლა).

მ. ქურდოვანიძე.

ცხინვალი

სამხრეთ ოსეთის პირველობაში 14 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი მოიპოვა კ. კოჩიევმა (ცხინვალი) — 11,5 ქულა. II ადგილზეა ი. სანაკოევი (ზნაური) — 10,5, III — შ. ლევიაშვილი (ცხინვალი) — 10. უკონკურსოდ მოთამაშე გოგონებიდან ე. ქუმარიტოვამ 6 ქულით VII ადგილი დაიკავა, ხოლო გ. ბერუაშვილმა 4,5 ქულით — X ადგილი.

ვ. მელქოევი.

მაიაკოვსკი

რაიონის ნორჩ მოჭადრაკეთა გუნდურ პირველობაში 12 საშუალო სკოლის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. პირველი ოთხი ადგილი დაიკავეს: 1. მაიაკოვსკის სახელობის საშუალო სკოლამ, 2. ფერსათის 1-ლმა საშუალო სკოლამ, 3-4. ნინოშვილის სახელობისა და წითელი ხევის საშუალო სკოლებმა. თავიანთ დაფებზე I ადგილებზე გავიდნენ: ჭაბუკებში — ე. გოგსაძე (ნინოშვილის სახელობის სკოლა), თ. გოგსაძე (მაიაკოვსკის სახელობის სკოლა), ვ. მაჩიტაძე (ფერსათი), გოგონებში — მ. გრძელიძე (წითელი ხევი).

რ. ენდელაძე,
რაიონის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.

ასპინძა

დამთავრდა რაიონის პიონერული რაზმეულების პირად-გუნდური პირველობები ჭადრაკსა და შაშში. საშუალო სკოლების მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა სოფ. დამალის გუნდმა. ჩემპიონები გახდნენ: ბიჭებში — ტ. ტონაკანიანი (დამალა), გოგონებში — თ. მელქონაშვილი (ხიზაბავრა). რვაწლიანი სკოლების გუნდებს შორის უძლიერესის სახელი მოიპოვა იდუმლის კოლექტივმა. ჩემპიონობა დაისაკუთრეს: ბიჭებში ზ. გურეშიძემ (ოთა), გოგონებში — მ. კობაიძემ (იდუმალა). მოშაშეთა ტურნირში 40 მოსწავლე მონაწილეობდა. ჩემპიონი გახდა სოფ. ტოლოშის გუნდი. უძლიერესის სახელი დაისაკუთრეს: ბიჭებში — ზ. ნადირაძემ (ტოლოში), გოგონებში — ც. მაღრაძემ (ნაქალაქევი).

ვ. ცინაძე,
ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

გასწორება

„ლელოს" წინა ნომრის მე-3 გვერდზე გამოქვეყნებული მასალის „ოთხივე გუნდი ფინალში გავიდა" პირველი თავის („ჩემპიონთა თასი") მე-3 და მე-4 სტრიქონები უნდა იკითხებოდეს ასე: **„სპარტას" — 88:61 (44:31). ლატვიელი კალათბურთელი ქალები მეცა-** და შემდეგ როგორც ტექსტშია.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის
სპორტული
[illegible]

ფარიკაობა. რესპუბლიკის სპორტკომიტეტის საფარიკაო დარბაზი (ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ). **11-12 მარტი. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა.** დასაწყისი 11 ს.

ფეხბურთი. „დინამოს" ბაზა დიღომში. **ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა. 11 მარტი. „დინამო" (თბილისი) — „მერცხალი" (მახარაძე).** დასაწყისი 12 ს.